საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში) სახელმწიფო რწმუნებულთან არსებული - სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს 2022 წლის საქმიანობის ანგარიში

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, 2022 წელს დასაფინანსებლად ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების შერჩევის მიზნით, აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტ(ებ)ის მიერ წარმოდგენილ იქნა, მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტთან შესაბამისობაში დადასტურებული და მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი სამართლებრივი აქტით მოწონებული მუნიციპალიტეტის მერის წინადადებები.

სახელმწიფო რწმუნებულთან არსებული აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის, ქალაქ ფოთისა და ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტთა საკონსულტაციო ორგანოს - სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს (შემდგომში - სამხარეო საკონსულტაციო საბჭო) მიერ მოწონებული წინადადებები განსახილველად წარედგინა (ოქმი №1-24/05/2022; ოქმი №2-08/11/2022.) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს.

2022 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (შემდგომში - ფონდი) დაფინანსდა 112 (ას თორმეტი) ინფრასტრუქტურული პროექტი, რომლის ღირებულებამ შეადგინა 50 380 081 ლარი, კერძოდ:

1. აბაშა - 17 პროექტი, ღირებულებით 6 109 087 ლარი.

2. ზუგდიდი - 24 პროექტი, ღირებულებით 6 274 848 ლარი.

3. მარტვილი 9 პროექტი, ღირებულებთ 6 355 890 ლარი.

4. მესტია 9 პროექტი, ღირებულებით 5 704 128 ლარი.

5. სენაკი 16 პროექტი, ღირებულებით 6 187 273 ლარი.

6. ჩხოროწყუ 8 პროექტი, ღირებულებით 6 359 765 ლარი.

7. წალენჯიხა 9 პროექტი, ღირებულებით 4 043 641 ლარი.

8. ხობი 11 პროექტი, ღირებულებით 4 747 901 ლარი.

9. ქალაქი ფოთი 9 პროექტი, ღირებულებით 4 597 548 ლარი.

დასრულდა 109 ინფრასტრუქტურული პროექტი, ჯამური ღირებულებით 50 113 451 ლარი.

3 პროექტზე მიმდინარეობს სამუშაოები 2 მუნიციპალიტეტში: კერძოდ 1 პროექტი მარტვილის, ხოლო 2 პროექტი წალენჯიხის მუნიციპალიტეტში.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების მუნიციპალიტეტის მიერ თანადაფინანსება განხორციელდა მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით და განისაზღვრა პროექტების ჯამური ღირებულების ფარგლებში, შესაბამის წელს ასანაზღაურებელი თანხების არანაკლებ 5%-ის ოდენობით, გარდა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით დამტკიცებული დანართის 3[1] მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა და რეგიონში ჯამურად შეადგინა - 6 540 052 ლარი.

იხ. დანართი №1 - აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტები და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი.

სამხარეო საკონსულტაციო საბჭომ შეაფასა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2022 წელს მუნიციპალიტეტებისათვის გამოყოფილი თანხების ფარგლებში განხორციელებული პროექტების მიმდინარეობა და დასახული პროექტების თანმიმდევრულობა მუნიციპალიტეტ(ებ)ის პრიორიტეტების დოკუმენტ(ებ)თან მიმართებაში და მიიჩნია აღნიშნული დოკუმენტების შესაბამისობაში დადასტურებულად.

გიორგი გუგულია

სახელმწიფო რწმუნებული

სახელმწიფო რწმუნებულთან არსებული აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის, ქალაქ ფოთისა და ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტთა საკონსულტაციო ორგანოს - სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე